თეკლა ზღუდაძე

11/6/2002

პროგრამა: **PR (პიარი) და კომუნიკაცია**

კურსი: **IV**

CU ელ.ფოსტა: **T_ZGHUDADZE@CU.EDU.GE**

ტელეფონის ნომერი: **+995 593 33 63 75**

ჩემს შესახებ

ჩემი სახელია თეკლა! როგორც კავკასიის უნივერსიტეტის მედია სკოლის სტუდენტი, აქტიურად ვარ ჩართული როგორც საუნივერსიტეტო აქტივობებში, ისე უნივერსიტეტის გარეთ დაგეგმილ მნიშვნელოვან მოხალისეობრივ და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობაში.

გარდა იმისა, რომ აკადემიური მოსწრებით ჩემი სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი ვიყავი, ადრეული ასაკიდანვე ვახერხებდი საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღებას - რის გამოც, წილად მხვდა პატივი თბილისის საერთაშორისო MUN კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ვყოფილიყავი, ხოლო ჩემი კანონპროექტი საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წინაშე წარმედგინა.

ბოლო წლების განმავლობაში ხშირად ვიღებდი მონაწილეობას საერთაშორისო კვლევით პროგრამებში, რომელთაგან ერთ-ერთი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული კონფერეცია „მედია დიალოგი“ იყო. აღნიშნულ კონფერენციაში გამოვლენილი უნარების გამო, წილად მერგო პატივი საკუთარ თეზისზე მუშაობა სომხეთში, გიუმრის ტექნოლოგიურ ცენტრში გამეგრძელებინა.

ბოლო 2 წლის განმავლობაში ზედიზედ გავიმარჯვე მედია სკოლის შიდა სასკოლო სამეცნიერო კონფერენციაში.

ჩემი მოხალისეობრივი საქმიანობისადმი ინტერესის გამო კი, წლების განმავლობაში მოხალისეთა კლუბის „საქართველოს მოხალისეს“ აქტიური წევრი ვიყავი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაცია „HELPING HAND”-თან თანამშრომლობით ფუნქციონირებდა.

თავისუფალ დროს მიყვარს მხატვრული ლიტერატურის კითხვა და თარგმნა. სწორედ ამ ინტერესის გამო შევქმენი პოდკასტი „მწვანე პომიდვრები“, სადაც ჩემს თანაწამყვანთან ერთად ადგილობრივ და საერთაშორისო ლიტერატურულ მოვლენებს განვიხილავ.

ჩემი ამბიცია და შრომისმოყვარეობა ყოველთვის მიბიძგებს, ვიყო მუდმივად ღია ახალი გამოცდილებებისა და გამოწვევებისთვის.

CU.EDU.GE

კავკასიის უნივერსიტეტის ელჩი

CAUCASUS UNIVERSITY AMBASSADOR